

სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება დეზინფორმაციის
გავრცელებასთან ბრძოლის კუთხით

იზა ბადუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დოლიძე

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

სარჩევი

Abstract.....	iii
აბსტრაქტი.....	iv
1. შესავალი.....	1
1.1 კვლევის აქტუალობა და პრობლემის დასმა.....	2
1.2 კვლევის მიზანი.....	6
2. კვლევის აღწერა.....	8
2.1 კვლევის მეთოდი.....	8
2.2 კვლევის შეზღუდვები.....	10
3. ლიტერატურის მიმოხილვა.....	11
4. დეზინფორმაციასთან ბრძოლის სახელმწიფოს პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების ანალიზი.....	21
4.1 პარლამენტის თემატური მოკლევლევა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხების შესახებ.....	21
4.2 საქართველოს მთავრობის სტრატეგია ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ, 2014-2017 წლების შესახებ.....	29
5. შემთხვევის ანალიზი.....	30
5.1 2008 წლის ომი.....	30
5.2 ევროინტეგრაცია.....	40
6. რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზი.....	50
7. დასკვნა.....	57
8. რეკომენდაციები.....	59
გამოყენებული ლიტერატურა.....	62
დანართი#1.....	69
დანართი#2.....	70

Abstract

The topic of this paper is the assessment of state policy in Georgia in terms of combating disinformation. The paper discusses two case studies and analysis the strategy implemented by the government. The first case is about Russian-Georgian war. And the second one is about eurointerations. The research is based on quantitative analysis of official documents and an interview with the field expert, and qualitative data collected through the questionnaire, which was conducted with more than 250 respondents.

The issue of dissemination of misinformation is quite topical, as the country's foreign or domestic policy is based on the Western course, and Georgia's goal is to join the Euro-Atlantic Alliance and the European Union. It is therefore important to evaluate the state policy in the fight against false information. It is important to outline all the problems or results achieved that are on the agenda of the government's action plan. The purpose of this study is to evaluate the policies produced by the government.

The result of the research is an assessment of the steps taken by the state in the fight against disinformation, which, as the research shows, is not very effective. It turns out that in this regard, the state does not make full use of available resources, which would reduce the spread of false information in the country. Surveys conducted by non-governmental organizations and surveys conducted within the paper show that the spread of misinformation in the country is still not properly regulated, because there is no UFO complex state policy. There is no specific institution or agency at the state level that will be responsible for this issue

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის თემას წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება საქართველოში დეზინფორმაციასთან ბრძოლის კუთხით. ნაშრომში განხილულია 2 ქეისი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და ევროინტეგრაცია. კვლევა ემყარება სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ ოფიციალურ დოკუმენტების ანალიზს, კვლევის ფარგლებში ექსპერტთან ჩატარებულ ინტერვიუს და კითხვარის საშუალებით შეგროვებულ რაოდენობრივ მონაცემებს, რომელიც 250-ზე მეტ რესპონდენტთან ჩატარდა.

დეზინფორმაციის გავრცელების თემა საკამოდ აქტუალურია, ვინაიდან ქვეყნის საგარეო თუ შიდა პოლიტიკა დასავლურ კურსს ემყარება და საქართველოს მიზანი ევროატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში გაწევრიანებაა. ამიტომ მნიშვნელოვანია შეფასდეს სახელმწიფო პოლიტიკა ცრუ ინფორმაციასთან ბრძოლაში. მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ყველა ის პრობლემა თუ მიღწეული შედეგები, რომელიც ხელისუფლების სამოქმედო გეგმის დღის წესრიგში დგას. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკის შეფასება.

ჩატარებული კვლევის შედეგს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დეზინფორმაციასთან ბრძოლის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯების შეფასება, რომელიც როგორც კვლევიდან ჩანს არც ისე ეფექტურია. ირკვევა რომ ამ კუთხით სახელმწიფო სრულად არ იყენებს არსებულ რესურსებს რაც შეამცირებდა ქვეყანაში ცრუ ინფორმაციის გავრცელებას. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვა კი აჩვენებს რომ დეზინფორმაციის გავრცელება ქვეყანაში კვლავ არ არის სათანადო დონეზე დარეგულირებული.